

## ახალგაზრდობა ამართლებს

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 26 ივნისი. მზიანი ამინდი. 27 გრადუსი. 40 000 მაყურებელი.

“დინამო” (თბილისი) - “კრილია სოვეტოვი” (კუიბიშევი) 2:0 (0:0).

გოლები გაიტანეს – დათუნაშვილმა (62) – 1:0, ილიადიმ (85) - 2:0.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ილიადი, ხუციშვილი, მისურაძე, იამანიძე, დათუნაშვილი.

“კრილია სოვეტოვი”: სოკოლოვი (აგურევი - 7), მაიოროვი, სახაროვი, კაპსინი, ვალკოვი, ფიოდოროვი, კოხი, საველიევი, ჟუკოვი, კაზაკოვი, კიკინი.

მსაჯი ე. ჰიარმსი; გვერდითი მსაჯები ვ. კეზინა (ორივე ტალინი) და კუკლასი (ტარტუ).

დუბლიორები – 1:1. გოლები გაიტანეს – შხვაცაბაია (“დინამო”), იუდინი (“კრილია სოვეტოვი”)

დებულება კანონია. სწორედ მისი ძალით მოუხდა თბილისის “დინამოს” გუშინდელ მატჩში თამაში 3 წამყვანი ფეხბურთელის - 3 უძლიერესი ფორვარდის გარეშე, რომლებიც სსრ კავშირის ნაკრებში არიან გამგზავრებული. მათი დუბლირება მიენდო ახალგაზრდებს, ხოლო შეტევის ხაზის მთლიანობის შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის იამანიძე დაუბრუნეს თავის ძველ “სპეციალობას” - თავდასხმას.

და, უნდა ითქვას, ახალგაზრდობამ ძირითადად გაამართლა იმედი. კიდევ მეტიც: ამ მატჩმა ნათლად დაამტკიცა, რომ ჩვენ ახლა გვყავს სრულ საბრძოლო ფორმაში მყოფი, მაღალი კვალიფიკაციის ნახევარმცველი ა. ილიადი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ არა სახელდახელო და დროებითი “რემონტის” სახით, არამედ საფუძვლიანად, საიმედოდ. ილიადი ორგანულად შეეწყო საერთო ანსამბლს, მის სტილს. ვიზა მაღალი ოსტატობისაკენ მას გარანტირებული აქვს.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ კუიბიშეველთა გუნდი დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა ჩემპიონისთვის. პირველი 15 წუთის განმავლობაში სტუმრების კართან განუწყვეტლივ იქმნებოდა მომენტები და თითოეული მათგანი თავისუფლად შეიძლებოდა გოლით დამთავრებულიყო. ამ 15 წუთს მოყვა მეორე 15 წუთი, მერე - მესამე, გოლი კი არა და არ ჩანდა. დათუნაშვილი დაიღალა ორივე ფლანგიდან კუთხური ბურთების მოწოდებით, აგურევის კარზე გამუდმებით ეკიდა “დამოკლეს მახვილი”, მაგრამ ის სუსტი ძაფი, რომელზეც იგი ეკიდა, არ იქნა და არ გაწყდა. ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა, ამასთან 44-ე წუთზე ჟუკოვის ძლიერი დარტყმა მხოლოდ იღბლად მოხვდა ძელს.

მეორე ტაიმი კიდევ უფრო მძიმე გამოდგა კუიბიშეველთათვის. 52-წუთზე მისურაძის მიერ თავით დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, მცირე ხნის შემდეგ ხუციშვილმა ააცილა მიზანს ახლო მანძილიდან და მხოლოდ 62-ე წუთზე იქნა კარი აღებული. იამანიძე კარგად გავიდა სამ მცველს შორის და თავისი დრიბლინგი

ძლიერი დარტყმით დაამთავრა. მეკარემ დააბრუნა ბურთი, მაგრამ დათუნაშვილმა ზუსტად აუღო ალლო შექმნილ მდგომარეობას, სწრაფად გადაინაცვლა მარჯვნივ და ძნელი მდგომარეობიდან გახსნა ანგარიში.

მეორე გოლი, რომელმაც წერტილი დაუსვა თბილისელთა გამარჯვებას, ეკუთვნის დაბიუტანტს - ილიადის. მან იამანიძესთან ერთად ცენტრში გაითამაშა კომბინაცია და შორი მანძილიდან ძლიერად, ზუსტად დაარტყა. ბურთი მოხვდა მელს და გავიდა კარში - 2:0. ჩემპიონმა, როგორც იქნა, აიღო 2 ქულა.

**რ. ქორიძე.**

**“ლელო”, კვირა, 27 ივნისი, 1965 წ.**

**დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 27.04.65.**